ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5566714

ნომერი: AR1844684

თარიღი : 17.08.2021

გაცემის თარიღი : 25.08.2021

გაცნობის თარიღი : 26.08.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , ნავთობბაზის მიმდებარედ , (ნაკვ. 04/004);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი შაყულაშვილი პ/ნ 01008032108
- თბილისი დ. ბაგები ი.უჩანეიშვილის I გას. N 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ ობიექტი, სადაც არის განთავსებული ლიბერთი ბანკის ფილიალი და რეკლამა, გაპი, პროექტი (11.07.2017წ. №3380522 ბრძანება დროებითი მსუბუქი კონსტრუქციის შენობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ) და მშენებლობის ნებართვა (04.08.2017წ. №3448956) იყო გასაჩივრებული შპს „ილორი 2005“-ის მიერ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის 2018 წლის 3 აპრილის N104 ბრძანებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შპს „ილორი 2005“-ის 2017 წლის 5 დეკემბრის N20/01173392181-01 და 2017 წლის 22 დეკემბრის N10/0117356437-01 ადმინისტრაციული საჩივრები და ბათილად იქნა ცნობილი სამსახურის №3380522 ბრძანება დროებითი მსუბუქი კონსტრუქციის შენობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ მხოლოდ ავტოსადგომების მოწყობის ნაწილში, დანარჩენ ნაწილში დარჩა ძალაში, ასევე ბათილად იქნა ცნობილი 04.08.2017 წლის №3448956 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის 2018 წლის 3 აპრილის N104 ბრძანება სამსახურის მიერ გამოცემულ აქტებთან ერთად, შპს „ილორი 2005“-ის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში გასაჩივრდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე N3/2782-18) სარჩელი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა ზემდგომი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჯერ დავა დასრულებული არ არის. აგრეთვე, AR1799116 განცხადებაზე დაფიქსირებული ინფორმაციით, ტერიტორიაზე ნაწარმოებია რკინა-ბეტონის მონოლითური შენობის მშენებლობა, თუმცა სამსახურში დაცული ინფორმაციით ტერიტორიაზე შესაძლებელი იყო დროებითი მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობის განთავსება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.